# საქართველოს მთავრობის
# განკარგულება

№1649 2020 წლის 27 აგვისტო ქ. თბილისი

**„2020-2021 წლების განმავლობაში ზოგიერთი სახის საწმენდი და სადეზინფექციო მოწყობილობების სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერ(ებ)ის საშუალებით განხორციელების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 27 ივლისის №1364 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე, „2020-2021 წლების განმავლობაში ზოგიერთი სახის საწმენდი და სადეზინფექციო მოწყობილობების სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერ(ებ)ის საშუალებით განხორციელების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 27 ივლისის №1364 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-6 პუნქტი:

„6. „საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-8 პუნქტის საფუძველზე, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ უზრუნველყოს საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელის – „56 17 – StopCoV

ფონდის“ ფარგლებში გათვალისწინებული ასიგნებებიდან საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსთვის თანხის გამოყოფა, ამ განკარგულების საფუძველზე გამოცხადებული კონსოლიდირებული ტენდერების ფარგლებში საჭირო რაოდენობის საწმენდი და სადეზინფექციო მოწყობილობების შესყიდვის მიზნით.“.

**პრემიერ-მინისტრი** **გიორგი გახარია**